ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10.32/10/67

ქ. თბილისი 8 ივლისი, 2022 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი გამგებლის გაიოზ ვასაძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „კოპიპრინტ-2000“ (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა არახამიას სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1ხელშეკრულების საგანია: ბეჭდვითი მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საშუალებით (CPV79810000).

№	მომსახურების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)
1	სტიკერი პვხაზე ა-2	ცალი	15	45.00	675.00

2.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 675.00 (ექვსას სამოცდათხუთმეტი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, შემსყიდველის ყოველი კონკრეტული მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირია - საბურთალოს რაიონის გამგეობის თანამშრომელი.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება, უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება, ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურეობის შესაბამისად, მომსახურების გაწევისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

6.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

6.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი (უხარისხოდ) შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებლო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

7.2ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება გაფორმებიდან 2023 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია

შემსყიდველი:

საბურთალოს რაიონის გამგეობა
მის: მიცკევიჩის ქ. №29
ს/კ: 205 303 820

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „კოპიპრინტ-2000“
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №5
ს.ს. „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE10TB0600000360203670
ს/კ: 205166210

გამგებელი

გაიოზ ვასაძე

დირექტორი

ზაზა არახამია

copyprint - 2000 LTD

Digitally signed by copyprint - 2000 LTD
Date: 2022.07.08 10:47:06 +04'00'

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 8 ივლისი, 2022 წელი

მე, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ აღნიშნულ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები მიმწოდებელთან (შ.პ.ს. ,,კოპიპრინტ-2000“-თან, ს/კ:205166210).

.

საორგანიზაციო განყოფილების
სპეციალისტი ს. კეთილაძე